1990/2

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 1

1990

23/535

უზენაესი საბჭოს ფურცელი

[illegible]ის სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

19645

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 1 (594) იანვარი 1990 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ბ. დ. მახარაშვილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ფიცის შესახებ.
4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
5. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
6. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება სახალხო მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ.

ეროვ. სსრ ბ. ბიბლიოთ. სახ. სახ. რესპუბ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძვლიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

8. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

9. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ.

განყოფილება მეორე

10. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

13. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

14. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

15. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

16. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

17. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

18. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

19. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

20. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

21. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. მ. თათიევოსიანისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
23. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. პ. კვინიკაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
24. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. კიკაბიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
25. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. მოლოდინაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
26. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ნ. ჩაჩავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
27. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. რ. ჩიტალაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
28. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
29. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. კიკნაძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
30. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. მამუჩიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
31. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. პ. ძნელაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

1 ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვალერიან ივლიანეს ძე **ვადაჭკორია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 4 იანვარი.
№ 2445—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

2 ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 4 იანვარი.
№ 2446—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

3 საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ფიცის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ფიცის ტექსტი. (თან ერთვის).

2. დაწესდეს, რომ პირველად არჩეული მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დებენ ფიცს.

3. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეები ფიცს დებენ შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეთა და მათი ამრჩევი სახალხო დეპუტატთა საბჭოს სახალხო დეპუტატების თანდასწრებით.

4. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულები ფიცს დებენ შესაბამისი საბჭოს სახალხო დეპუტატების თანდასწრებით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულები ფიცს დებენ მათი ამრჩევი კოლექტივის წინაშე.

5. ფიცი იდება საზეიმო ვითარებაში. თითოეული მოსამართლე და სახალხო მსაჯული ინდივიდუალურად წარმოსთქვამს ფიცის ტექსტს.

ფიცის ტექსტს ხელს აწერს ფიცის დამდები პირი და ინახება მის პირად საქმეში.

6. ფიცი იდება მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის არჩევის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 იანვარი.
№ 2453—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის
დადგენილებით

საქართველოს სსრ მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის

ფ ი ც ი

მე, _____, ვკისრულობ
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რა მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) მოვალეობას, საზეიმოდ ვდებ ფიცს:

განვახორციელო მართლმსაჯულება კანონის ზუსტი შესაბამისობით, ჩემი შინაგანი რწმენითა და სინდისით, ვინმეს გავლენისაგან დამოუკიდებლად, უზრუნველვყო ყველა მოქალაქისა და ორგანიზაციისათვის თანაბარი პირობები მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ყოველთვის ვიყო სამართლიანი და ჰუმანური, პრინციპული და მიუკერძოებელი;

გამოვიყენო მთელი ჩემი ცოდნა, უნარი და გამოცდილება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკეთილდღეოდ, სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, კანონებისადმი მოქალაქეთა პატივისცემის სულისკვეთებით აღსაზრდელად;

ყველგან და ყოველთვის დავიცვა მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) მაღალი წოდების სისპეტაკე, ვიყო ფიცის ერთგული.

მოსამართლე (სახალხო მსაჯული) _____
(ხელმოწერა)

„——“ _____ 19 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

4 საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 იანვარი.
№ 2454—XI

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის
გრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ

1. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი ხუთი წლის ვადით უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან თავმჯდომარის, მოადგილეების და წევრების შემადგენლობით.

2. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევს მოსამართლეთა შესაბამისი კონფერენციები ხუთი წლის ვადით სახალხო მოსამართლეთა და ზემდგომი სასამართლოების წევრებისაგან თავმჯდომარის, მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ ამ სასამართლოთა მოსამართლეების კონფერენციებზე ხუთი წლის ვადით სახალხო მოსამართლეებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრთა რიცხვიდან თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით. სახალხო მოსამართლეები კოლეგიის წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა შეადგენდნენ.

3. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

4. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა მისი არჩევის დროს განისაზღვრება.

5. საკვალიფიკაციო კოლეგიაში არჩეული მოსამართლეები კოლეგიის მუშაობის პერიოდში თავისუფლდებიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.

6. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის წინაშე.

საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი კონფერენციების წინაშე; მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს ამბარებენ მოსამართლეთა კონფერენციებს ორწელიწადნახევარში ერთხელ მაინც, ანდა თავიანთი უფლებამოსილების ვადის გასვლისას.

7. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრება:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა — საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებისა — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას;

საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

8. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მათთვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭებასთან ერთად.

9. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია:

იძლევა დასკვნას საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრის სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს წევრად დასახელების შესაძლებლობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა დასკვნას მოსამართლის საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატად დასახელების შესაძლებლობის შესახებ;

ატარებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების საკვალიფიკაციო ატესტაციას;

იძლევა დასკვნას საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების გაწვევის საკითხის შესახებ;

განიხილავს საკითხს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

განიხილავს საჩივრებს ქვემდგომი საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილებათა თაობაზე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და გაწვევის საკითხების შესახებ.

10. საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო სასამართლოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

ატარებენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეებისა და წევრების, აგრეთვე სახალხო მოსამართლეების საკვალიფიკაციო ატესტაციას;

იძლევიან დასკვნას სახალხო მოსამართლეობის ან ზემდგომი სასამართლოს წევრობის კანდიდატის დასახელების შესაძლებლობის შესახებ;

აფასებენ სახალხო მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და უწყობენ მას საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევიან დასკვნას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების გაწვევის საკითხის შესახებ და განიხილავენ მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს;

იძლევიან დასკვნას სახალხო მოსამართლეთა გაწვევის საკითხის შესახებ და განიხილავენ მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს;

11. მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატების სასამართლო საქმიანობისათვის მზადყოფნის საკითხს განიხილავენ და მათ საკვალიფიკაციო გამოცდას უწყობენ საკვალიფიკაციო კოლეგიები საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ერთობლივი წარდგინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვალიფიკაციო გამოცდა მოიცავს პასუხებს ზეპირ კითხვებზე, პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას, გასაუბრებას.

კანდიდატს, რომელმაც საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ ჩააბარა, შეუძლია მეორედ ჩააბაროს იგი არა უადრეს ერთი წლისა.

12. დასკვნას საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრად წარდგენის შესაძლებლობის შესახებ იძლევა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

13. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას მოქმედებს კოლეგიის წევრთა არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მომზადებას უზრუნველყოფს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კოლეგიის რომელიმე წევრი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას უფლება აქვს სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ხელმძღვანელებისაგან, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომა უნდა ჩატარდეს კოლეგიაში შესაბამისი წარდგინების შეტანის დღიდან ერთთვიან ვადაში. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარე განსაზღვრავს სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს და სამი დღით ადრე მაინც აცნობებს ამის შესახებ კანდიდატს ან მოსამართლეს, რომლის საკითხიც განიხილება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა წარდგინებითაც იხილება საკითხი.

კოლეგიის სხდომაზე გადასაწყვეტი საკითხების განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელმაც წინასწარ შეისწავლა წარმოდგენილი საბუთები და მასალები. შემდეგ კოლეგია მოუსმენს მოწვეულ პირებს, გამოიკვლევს აუცილებელ საბუთებსა და მასალებს. კოლეგიის სხდომების შესახებ დგება ოქმი.

14. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმის მიცემას არ ესწრებიან ის პირნი, რომელთა საკითხიც იხილება და აგრეთვე მოწვეული პირებიც. დასკვნა კეთდება წერილობით, იგი მოტივირებული უნდა იყოს და მას ხელს აწერენ კოლეგიის თავმჯდომარე და წევრები.

15. დასკვნა ან გადაწყვეტილება ათდღიან ვადაში ეგზავნებათ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრთა მიმართ — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების მიმართ — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეების მოადგილეების მიმართ — შესაბამის სასამართლოების თავმჯდომარეებს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს;

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მიმართ — იუსტიციის შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

5 საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 იანვარი.
№ 2455—XI

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის
გრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ

1. საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო სასამართლოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეებს წელიწადში არანაკლებ **ერთხელ** იწვევენ მოსამართლეთა **კონფერენციებზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოსამართლეთა კონფერენცია:

განიხილავს სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს;

მიმართავს სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს ან საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის ან საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინებების შეტანის, ანდა კანონის განმარტების შესახებ;

ირჩევს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

ისმენს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის ანგარიშებს მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

3. საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია მოიწვევა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევის საკითხს ერთობლივად გადაწყვეტენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

4. კონფერენციები შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კონფერენციები ტარდება ყოველწლიურად, როგორც წესი, წლის პირველ კვარტალში.

რიგგარეშე კონფერენციები მოიწვევა მოსამართლეთა შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით ან ამ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

5. მორიგი კონფერენციის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მოსამართლეთა შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

7. კონფერენცია ღია კენჭისყრით ირჩევს კონფერენციის თავმჯდომარეს და მდივანს, რომელიც აწარმოებს კონფერენციის ოქმს.

კონფერენციის თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს და უძღვება კონფერენციის მუშაობას.

8. მოსამართლეებს, რომლებიც საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ კონფერენციას, შეუძლიათ იუსტიციის შესაბამის ორგანოებს წარუდგინონ თავიანთი წინადადებები. ეს წინადადებები მოხსენდება კონფერენციას.

9. მოსამართლეთა კონფერენციაზე ყველა საკითხი წყდება კონფერენციაში მონაწილე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მოსამართლეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლს აწარმოებს კონფერენციაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას ახსენებს კონფერენციას. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც მოსამართლეები, ისე იუსტიციის ორგანოების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

6 სახალხო მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ მუშაობენ, სასამართლოში დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ყოველი დღისათვის ეძლევათ დღიურები სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

2. სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე სახალხო მსაჯულებს მათ მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების განმავლობაში მუდმივ სამუშაო ადგილას უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, ხოლო რაც შეეხება სხვა ანაზღაურებებსა და შეღავათებს, სასამართლოში სახალხო მსაჯულების მიერ მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

3. მომუშავე სახალხო მსაჯულებს, თუ ისინი სახალხო მსაჯულის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ გაემგზავრებიან, ძირითად სამუშაო ადგილას საშუალო ხელფასის შენარჩუნების გარდა ეძლევათ დღიურები და აუნაზღაურდებათ ბინის დაქირავებისა და მგზავრობის ხარჯები სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

ამავე შემთხვევაში, სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ მუშაობენ, ამ გრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანხების გარდა, აუნაზღაურდებათ ხარჯები მგზავრობისა და ბინის დაქირავებისათვის სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

4. მომუშავე სახალხო მსაჯულებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად დაკისრებული აქვთ სახალხო მოსამართლის მოვალეობის დროებით შესრულება, ძირითად სამუშაო ადგილ-

ზე უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი და სხვა ანაზღაურებანი და შენახულ-თები.

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მსაჯულის საშუალო ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე სახალხო მოსამართლის თანამდებობრივი განაკვეთი, სახალხო მსაჯულს დამატებით ეძლევა სხვაობა.

5. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ მუშაობენ და დროებით ასრულებენ სახალხო მოსამართლის მოვალეობას, ეძლევათ ხელფასი სახალხო მოსამართლის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით.

6. ამ ბრძანებულების პირველი, მე-3 მუხლებით, მე-4 მუხლის მეორე ნაწილით და მე-5 მუხლით დადგენილი თანხების ანაზღაურება წარმოებს შესაბამისი სასამართლოების სახსრებიდან.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 ივნისის ბრძანებულება „სახალხო მსაჯულების, საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების სასამართლოში მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 18, მუხ. 289) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სახალხო მსაჯულებისათვის ხარჯების ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კბარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 იანვარი.
№ 2456—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

7 მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძვლიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიის დადგენილების შესაბამისად შეიქმნას მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძვლიანობის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ვარლამის ძე **კეშელავა** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარის მოადგილეები:

იური ნიკოლოზის ძე **ზაბოიარკინი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.

ბუხუტი ვლადიმერის ძე **სხირტლაძე** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

მამია ხარიტონის ძე **კომახიძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დირექტორი.

კომისიის წევრები:

გურამ ალექსანდრეს ძე **აბაშიძე** — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე.

არტემ ივანეს ძე **აზიროვი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

კარლო კონსტანტინეს ძე **გარდაფხაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ალექსანდრე ივანეს ძე **კვასაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ედუარდ ივანეს ძე **კანდელაკი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმი) დირექტორი.

მამია მინას ძე **კიკნაძე** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

ვალერიან პეტრეს ძე **კიკილაშვილი** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

ბესარიონ ლევანის ძე **კიკილაშვილი** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

თედორე გიორგის ძე **ნინიძე** — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

აწზორ შიოს ძე **ნინიკაშვილი** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

შოთა გიორგის ძე **ნიშნიანიძე** — პოეტი, ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი.

ვაჟა მიხეილის ძე **ოკუჯავა** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ზურაბ მელქისედეკის ძე **რატიანი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე.

ზურაბ ნიკოლოზის ძე **რცხილაძე** — თბილისის ჟურნალისტთა სახლის დირექტორი.

ჯანსუღ ნიკოლოზის ძე **ღვინჯილია** — მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული ფონდის დირექტორი.

ავთანდილ შიოს ძე **შამუგია** — მომჩივანთა წარმომადგენელი.

რომან ვარლამის ძე **შენგელია** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13645

შალვა დანიელის ძე **ჩიკვაშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელ-ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

იოსებ გრიგოლის ძე **ხაზარაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, გამომმონაბელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ომარ პენტელეიმონის ძე **ხოფერია** — საქართველოს სსრ უზენაესი საბ-ჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი.

2. კომისიასთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, სპეციალისტების, საზოგადოებრიობისა და მომჩივანთა წარმომადგენლების შემადგენლობით (სია თან ერთვის), კონკრეტულ საჩივრებში გარკვევისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად კომისიისათვის მასალების წარდგენისათვის.

3. კომისიამ იმუშაოს 1990 წლის 1 აპრილამდე და მუშაობის შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს 1990 წლის 20 აპრილამდე.

4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ და შეწყალების განყოფილებამ (ამხ. ამხ. ჰ. ჭიპაშვილი, ო. გორდელაძე) კომისიას შეუქმნან მუშაობისათვის საჭირო პირობები.

5. დაევალოთ რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობისა და სამართალდაცვით ორგანოებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კომისიას მუშაობაში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 იანვარი.
№ 2457—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

8 ამხ. ვ. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2479—XI

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

9 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეწყდეს დროებით 1990 წლის 1 აგვისტომდე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2480—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

10 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული ხელოვნებისა და კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ეფრემ ოთარის ძე **სურმავას** — თბილისის ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის სკოლა-სტუდიის ქორეოგრაფს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

შალვა ივაკის ძე **სიჭინავას** — ზუგდიდის პირველი სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების პედაგოგსა და საქალაქო კულტურის სახლის თვითმოქმედი სამუსიკო წრეების ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2466—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

11 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ნაყოფიერი საქმიანობისათვის **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

სერგო ნიკოლოზის ძე **გელაშვილი** — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ № 137 სამშენებლო სამმართველოს მღებავი.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **კარიაული** — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ სამშენებლო ნაკეთობათა კომბინატის დურგალი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2467—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

12 „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ანზორ ვალერიანის ძე **მეავანაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილების სწავლულ მდივანს.

ბონდო მიხეილის ძე **პაპავას** — თეთრი წყაროს რაიონის მარაბდის მეგოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2468—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

13 „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ჯემალ დიმიტრის ძე **გვიმრაძეს** — მხატვარს.

ამირ დავითის ძე **კაკაბაძეს** — მხატვარს.

ივანე (ვახტანგ) იოსების ძე **მჭედლიშვილს** — მხატვარს.

მანანა ვლადიმერის ასულ **ტოროტაძეს** — მხატვარს.

ალექსანდრე გიორგის ძე **შალუტაშვილს** — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2469—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

14 „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ჯუმბერ დავითის ძე **გოცირიძეს** — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ მთავარ ინჟინერს.

გურამ შალვას ძე **გუმბერიძეს** — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ უფროსის მოადგილეს.

ეკატერინე ბარნაბის ასულ **დეკანოსიძეს** — თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციის ინჟინერ-არქიტექტორს.

ზურაბ ზაბულონის ძე **ლომინაძეს** — საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2470—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

15 „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი საგამომგონებლო საქმიანობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

თამაზ ნიკოლოზის ძე **ქვლივიძეს** — საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორს.

ჟუჟუნა კონსტანტინეს ასულ **ქუშაშვილს** — საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2471—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

16 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ლეილა გიორგის ასულ **გვარამაძეს** — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის უფროს ინსპექტორს.

გიორგი პარმენის ძე **დოლაძეს** — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის დირექტორის მოადგილეს.

ელენე ზაქარიას ასულ **სარიშვილს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სასცენო ტანსაცმლის ჩამცველს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2472—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

17 „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გიორგი სანდროს ძე **ელისაშვილს** — თბილისის ფოსტამტის ფოსტალიონს.

როზა პოლიკარპეს ასულ **კოპლატაძეს** — თბილისის ტელეგრაფის ტელეგრაფისტს.

მურმან პროფილეს ძე **ჩახაიას** — რესპუბლიკური მაგისტრალური კავშირების სამტრედიის ტექნიკური კვანძის ზუგდიდის უბნის ელექტრომონტიორს.

ზურაბ სეგერიანის ძე **ჩიგოგიძეს** — თბილისის სატელეფონო ქსელის საწარმოო გაერთიანების მეკაბელეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2473—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

18 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ზინაიდან (ნანა) შალვას ასულ **ელიაშვილს** — ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ პასუხისმგებელ მდივანს.

მედეა მიხეილის ასულ **ჯაშს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის უბნის უფროსს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2474—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

19 თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება:

ვლადიმერ დავითის ძე **ბერძენაძეს** — გუნდის მსახიობს.
ლუდმილა იოსების ასულ **ნადიბაიძეს** — სოლისტს.
ლუდმილა ალექსანდრეს ასულ **სინეცკაიას** — გუნდის მსახიობს.
ავთანდილ ივანეს ძე **ჯავახიშვილს** — სოლისტს.
ტარიელ ევგენის ძე **ჭიჭინაძეს** — სოლისტს.
თამაზ დავითის ძე **ქავთარაძეს** — ორკესტრის მსახიობს.
ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ქუთათელაძეს** — ორკესტრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2475—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

20 „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ლერი ვალერიანის ძე **კორძაძეს** — საქართველოს სსრ გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების უფროსს.

ლამარა დავითის ასულ **ტრაპაიძეს** — საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის კარტოგრაფიულ-გამფორმებელი პარტიის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კონსტანტინეს ძე **ჩიხლაძეს** — საწარმოო გაერთიანება „საქნავ-თობის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის სტრუქტურული ბურღვის № 3 პარ-ტიის უფროსს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2476—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

21 თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წ�ილისათვის თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალუ-რი თეატრის მსახიობებს მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ დამსახურებული არ-ტისტის“** საპატიო წოდება:

იზა გიორგის ასულ **ბოჭოიძეს** — მსახიობს.
აპოლონ ნიკოლოზის ძე **დაშნიანს** — მსახიობს.
ნინო ტერენტის ასულ **ლაღიძეს** — მსახიობს.
ბორის გიორგის ძე **ნებიერიძეს** — მსახიობს.
მერი ალექსანდრეს ასულ **სურგულაძეს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2477—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

22 ამხ. რ. მ. თათევოსიანისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებ-ში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საპროექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს ამხ. რაფიელ მკრტიჩის ძე თათევოსიანს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2465—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

23 ამხ. ვ. პ. კვინიკაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამტრედიის № 2 ავტოსადგურის სახაზო დისპეტჩერს ამხ. ვერა პლატონის ასულ კვინიკაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2464—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

24 ამხ. გ. ა. კიკაბიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხელოვნებისა და კულტურის ობიექტებზე სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სარესტავრაციო საქმიანობაში წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარ ინჟინერს ამხ. გიორგი ალექსანდრეს ძე **კიკაბიძეს** მიენიჭოს „**საქართველოს** სსრ მშენებლობის **დამსახურებული** მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. **გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2460—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

25 ამხ. ი. ა. მოლოდინაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისა და სწავლების საქმეში წვლილისათვის ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს ინეზა ალექსანდრეს ასულ **მოლოდინაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2461—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

26 ამხ. თ. ნ. ჩაჩავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლის მასწავლებელს თენგიზ ნიკოლოზის ძე **ჩაჩავას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2463—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

27 ამხ. გ. რ. ჩიტალაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავიაციო და საავტომობილო ტრანსპორტის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზების სამინისტროს „საქსახტრანსპროექტის“ საექსპლუატაციო-ტექნიკური
განყოფილების უფროსს ამხ. გიორგი რომანის ძე **ჩიტალაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 იანვარი.
№ 2462—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

28 „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ამ დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ვლადიმერ ანდროს ძე **კანდელაკს** — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგს.

ნურადინ გიორგის ძე **შავგულიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 იანვარი.
№ 2484—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

29 ამხ. თ. ვ. კიკნაძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს ამხ. თეიმურაზ ვასილის ძე **კიკნაძეს**

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 იანვარი.
№ 2482—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პეზიდიუმის გრძანებულება

30 **ამხ. ბ. ნ. მამუჩიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი წვლილისათვის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს გიორგი ნიკოლოზის ძე მამუჩიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 იანვარი.
№ 2481—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პეზიდიუმის გრძანებულება

31 **ამხ. დ. პ. ძნელაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს პროფესორ დავით პლატონის ძე ძნელაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 იანვარი.
№ 2483—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1990 წლის 10 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც იმსჯელა რესპუბლიკაში შექმნილ სახოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე. დაისახა ღონისძიებანი თბილისში და შიდა ქართლში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

პრეზიდიუმის სხდომამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რესპუბლიკაში სადღეისოდ არსებული რთული პრობლემები უნდა გადაიჭრას არა ძალისმიერი გზით, არამედ მშვიდობიანი, ურთიერთშეთანხმებული დიალოგის მეშვეობით, მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტური გზით.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დღეებში შეფერხებებია თბილისში ტრანსპორტის მოძრაობაში, საწარმოების მუშაობაში. გარკვეული სიძნელეები შეიქმნა ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში, რაც კიდევ უფრო გაამწვავა კავკასიის მთიანეთის ელექტროგადამცემ ხაზებში მომხდარმა ავარიამ. მიღებულია ყველა ზომა ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ, რესპუბლიკის მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უკეთ მომსახურებისათვის.

პრეზიდიუმმა იმსჯელა აგრეთვე რესპუბლიკის რეგიონებში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების გამოძიებისა და სასამართლოში საქმეების წარმართვის მდგომარეობაზე.

აღინიშნა, რომ სამართალდაცვითი ორგანოები ყოველთვის ვითარების შესაბამისი ოპერატიულობით არ ატარებენ ღონისძიებებს დანაშაულობათა გამოსაძიებლად და სასამართლოში გადასაცემად, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამართალდაცვით ორგანოებს მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ აღნიშნულ საქმეს, მიიღონ ქმედითი ზომები დანაშაულობათა დროულად გახსნისა და დამნაშავე პირთა დასასჯელად.

საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების არსებითი გაუმჯობესება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით ადიგენის რაიონის ვარხანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ბენარა, ნაქურდევი, უნწა, ფარეხა, შორაველი, ხევაშენი და მათ ბაზაზე შეიქმნა ბენარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბენარაში, ხოლო ჩორჩანის სასოფლო საბჭოს — სოფლები: გომარო, ზანავი, პატარა

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზანავი, წრე და მათ ბაზაზე შეიქმნა ზანავის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზანავში.

*

* *

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით სტიქიურ უბედურებათა შედეგად აჭარიდან და სვანეთიდან დაზარალებულთა გადმოსახლებასთან დაკავშირებით გარდაბნის რაიონის ფონიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კრწანისის მეღორეობის კომპლექსთან და კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობასთან წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნა სოფლების ჯგუფს და ეწოდა სოფელი კრწანისი.

გარდაბნის რაიონის ფონიჭალის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კრწანისი და შეიქმნა კრწანისის სასოფლო საბჭო.